ხელშეკრულება № 54-2013

სამეცნიერო - ტექნიკური პროდუქციის გადაცემაზე

ქ. თბილისი 07.03.2013 წ.

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია (წოდებული შემდგომში როგორც ასოციაცია) ერთის მხრივ და მეორეს მხრივ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (წოდებული შემდგომში როგორც დამკვეთი), დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ასოციაცია არეგისტრირებს შემსყიდველს პროექტ "ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის" მონაწილეთა კონსორციუმის წევრად და აძლევს მას საინფორმაციო საშუალებათა გამოყენების უფლებას (იხ 1.2),

1.2 შემსყიდველს ეძლევა უფლება მიიღოს მონაწილეობა პროექტში "ელექტრონულ ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIFL", კერძოდ გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები:

CPV98112000 პროფესიონალი ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურებები

EBSCOHost (http://search.epnet.com)
Cambridge University Journals (http://journals.cambridge.org)
Royal Society Journals Collection (http://royalsocietypublishing.org/journals/)
BioOne (www.bioone.org)

1.3 ასოციაცია იძლევა საინფორმაციო საშუალებების გამოყენების უფლებას, ამ უფლების მესამე პირთათვის გადაცემის უფლების გარეშე, იმ პირობების გათვალისწინებით, რომელიც წამოყენებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

1.4 შესყიდვის განხორციელების საშუალება – გამარტივებული შესყიდვა.

2. მხარეთა პასუხისმგებლობა

2.1 ასოციაცია, როგორც შუამავალი, გადასცემს შემსყიდველს ხელშეკრულების საგანში დასახელებულ საინფორმაციო რესურსების გამოყენების უფლებას იმ სახით, როგორც იგი მას მიიღებს მომწოდებლისაგან, დამატებითი შეზღუდვების გარეშე.

2.2 შემსყიდველს არ გადაეცემა საინფორმაციო რესურსებზე საავტორო უფლება.

2.3 ასოციაცია პასუხისმგებელია ხელშეკრულების საგანში მოყვანილი საინფორმაციო რესურსების გამოყენებისას დამკვეთს გაუწიოს შემდეგი სახის დახმარება:

- შემსყიდველის სახელით ურთიერთობა მომწოდებელთან (მათ შორის ფინანსური ანგარიშსწორება),
- ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტა და კონსულტაციები,
- სათანადო ლიცენზიების მოპოვება მომწოდებლებისაგან და მათთან ხელშეკრულების გაგრძელება შემდგომი წლებისათვის. დამკვეთის უფლებების დაცვა,
- წლის განმავლობაში 3 ტრეინინგის ჩატარება;
- პროექტის ხარჯების დასაფარად დამატებითი ფინანსური სახსრების მოზიდვა სხვა წყაროებიდან (ფონდები, სპონსორები, დახმარებები და სხვა).

2.4. ასოციაცია არ არის პასუხისმგებელი სხვა ორგანიზაციების მიერ მისთვის მოწოდებული საინფორმაციო რესურსების შიგთავსზე და იმ საკითხებზე,

რომლებიც შეეხება შემსყიდველის ურთიერთობებს იმავე ან სხვა მომწოდებლებთან წინამდებარე ხელშეკრულების საგნის გარეთ.

2.5. საინფორმაციო რესურსების მიწოდების ფორმისა და პირობების სიმრავლის შემთხვევაში დამკვეთს აქვს უფლება აირჩიოს მათგან მისთვის ხელსაყრელი.

2.6. შემსყიდველი ვალდებულია არ დაუშვას ხელშეკრულებით მიღებული მასალების ან ასლების და კონფიდენციალური ინფორმაციის (სარეგისტრაციო კოდი, პაროლი, და სხვა) გადაცემა მესამე ორგანიზაციებისა და პირებისათვის.

2.7. მონაცემთა ბაზების გამოყენების უფლება ენიჭება დამკვეთის ყველა თანამშრომელს, ქვეგანყოფილებას, მკითხველებს, სტუდენტებს, ისე რომ დაცული იქნეს მათი გამოყენება იმ პირებისა თუ ორგანიზაციების მიერ, რომლებზეც არ ვრცელდება წინამდებარე ხელშეკრულება.

2.8. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების ვადამდელი გაუქმების ან დარღვევის შემთხვევაში საწევრო გადასახადი დარჩება ასოციაციის საკუთრებაში.

3. საწევრო გადასახადები

3.1 შემსყიდველი, როგორც კონსორციუმის წევრი, ვალდებულია გადაიხადოს ყოველწლიური საწევრო გადასახადი, რომლითაც ანაზღაურდება პროექტის ღირებულება.
3.2 2013 წლისათვის გადასახადის ოდენობა შეადგენს (შერჩეული რესურსების შესაბამისად) 1900 (ათას ცხრაას) ლარს (შენიშვნა: კონსორციუმის წლიური საწევრო გადასახადების ოდენობას და გადახდის ვადებს ყოველწლიურად განსაზღვრავს კონსორციუმის საერთო კრება).

4. ფორს-მაჟორი ანუ გაუთვალისწინებელი საკითხები

4.1. ხელმომწერი მხარე ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებისაგან თავისუფლდება ნაწილობრივ ან მთლიანად, თუ შეუსრულებლობა განპირობებული იყო გადაულახავი დაბრკოლებით (მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, დესტაბილიზაცია სახელმწიფოში), რასაც ხელშეკრულების დადების მომენტში ხელმომწერი მხარე ვერ გაითვალისწინებდა მის ხელთ არსებული საშუალებებით.

4.2 ხელმომწერი მხარე ან მისი კანონიერი მემკვიდრე (მეურვე), რომელიც გადაულახავი დაბრკოლების პირობებს იმოწმებს, მოვალეა დაუყოვნებლივ აცნობოს
ეს მეორე მხარეს წერილობით. თუ ხელმომწერი მხარე შესაბამის შეტყობინებას არ გაუგზავნის ან დააგვიანებს, იგი მოვალეა მიყენებული ზარალი აუნაზღაუროს მეორე მხარეს.

5. ხელშეკრულების განსაკუთრებული პირობები

5.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს მხარეთა თანხმობით.

5.2. ელექტრონული რესურსების შიგთავსის (მაგ. ჟურნალების ან მონაცემთა ბაზების რაოდენობის) მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში დაიდება ახალი ხელშეკრულება.

5.2. სადავო საკითხების გადაწყვეტისას მხარეები ეცდებიან მიაღწიონ ურთიერთშეთანხმებას კომპრომისების გზით.

5.3. ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან.

5.4 ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე იტოვებს უფლებას გააუქმოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მხარეთა იურიდიული მისამართები

6.1 ამ ხელშეკრულებას მხარეები დებენ 2013 წლის 31 დეკემბრამდე.

6.2 ხელშეკრულების ცვლილების ან გააუქმების შესახებ მეორე მხარეს წერილობით უნდა ეცნობოს არანაკლებ 1 თვით ადრე.

ააიპ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

თბილისი, 0107, გუდიაშვილის ქუჩა 7
ტელ: 2363413
საიდენტიფიკაციო კოდი: 204417862
საბანკო რეკვიზიტები:
თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი,
კოდი : TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
GE73TB0600000100700861 (ლარი)

ასოციაციის პრეზიდენტი
ი. ღარიბაშვილი

(ხელმოწერა)

15.05.15
(თარიღი)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77

საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192
საბანკო რეკვიზიტები:
თიბისი ბანკის ცენტრალური ფილიალი,
კოდი : TBCBGE22
ანგარიშსწორების ანგარიში:
ა/ა GE47TB0600000003408001

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქეთევან ქოქრაშვილი

(ხელმოწერა)

(თარიღი)

კონსორციუმთან ურთიერთობებზე
პასუხისმგებელი პირი:
ირინა გაბისიანი
ტელ:
Email: